

ადამიანის პაპილომა ვირუსი (მატალი რისკი) გენოტიპირება - 16, 18/45
HPV DNA - PCR
მასალის აღების წესი

კონტეინერი: სატრანსპორტო მედიუმი - ThinPrep® Pap, ფუნჯი (ბრაში).



მასალა: ცერვიკალური ნაცხი

მასალის აღებამდე ნეიტრალური ჩხირის საშუალებით საშვილოსნოს ყელის ზედაპიროდან ფრთხილად მოაცილეთ ზედმეტი ლორწო (ეს ჩხირი გადააგდეთ).

მასალის აღება:

1. კონტეინერზე წინასწარ მოახდინეთ მარკირება.
2. მოხსენით სახურავი კონტეინერს.
3. მოათავსეთ მასალის ასაღები ფუნჯი (ბრაში) ენდოცერვიქსში.
4. საათის ისრის მიმართულებით ფუნჯი დაატრიალეთ 5-ჯერ.
5. მოათავსეთ ფუნჯი კონტეინერში. 10-ჯერ დააჭირეთ და გამალეთ ფუნჯი კონტეინერის ფსკერზე, ბოლოს ძლიერად დაატრიალეთ რათა ფუნჯი მასალისგან სრულიად განთავისუფლდეს.
6. არ ჩატოვოთ ფუნჯი კონტეინერში.
7. მჭიდროდ დაახურეთ კონტეინერს სახურავი.
8. მასალა გამოაგზავნეთ ლაბორატორიაში კვლევისთვის;
9. მასალა სტაბილურია 2-30 °C.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს HPV DNA კვლევაზე:

- მენსტრუაცია;
- სქესობრივი კონტაქტი ნიმუშის აღებამდე 2–3 საათით ადრე;
- ანტისეპტიკური ხსნარებისა და ლუბრიკანტების გამოყენება;
- ვაგინალური სანთლების გამოყენება ბოლო 48 საათის განმავლობაში;
- ბოლო 3 თვის განმავლობაში ჩატარებული ცერვიკალური პროცედურა ან ოპერაცია;
- ბოლო 21 დღის განმავლობაში ჩატარებული რადიოთერაპია.
- **აღნიშნული ბრაში არ გამოიყენება ორსულობის 10 კვირიდან.**